

**კონკურსი მომსახურების შესყიდვაზე: ინფორმაციული და საკომუნიკაციო
ტექნოლოგიებისა და გასართობი მოწყობილობების შეძენა და მიწოდება
FSM-2022-08-05**

სოლიდარობის ფონდი PL საქართველოში ეძებს კომპანიას, რომელიც უზრუნველყოს ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების და გასართობი მოწყობილობების შეძენას და განახორციელებს მათ მიწოდებას მოდერნიზებული ადაპტირებული "ღია სივრცისთვის" ოზურგეთში (მდებარეობა ოზურგეთი, 26 მაისის ქ. 11ა).

მოთხოვნილი მომსახურება - ოზურგეთში მოდერნიზებული ადაპტირებული „ღია სივრცისთვის“ საქირო ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებითა და გასართობი მოწყობილობებით უზრუნველყოფა. (მდებარეობა ოზურგეთი, 26 მაისის ქ. 11ა, 11ა-ში).

1. დაგეგმილი სამუშაო ითვალისწინებს შემდეგს:

1.1 ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებისა და გასართობი მოწყობილობების შეძენა და მონტაჟი ოზურგეთში სპეციფიკაციის შესაბამისად (ოზურგეთი, 26 მაისის ქ. 11ა).

2. შესასრულებელი სამუშაოს ხანგრძლივობა:

2022 წლის 15 ოქტომბრამდე.

3. შესასრულებელი სამუშაოს ადგილი(ები):

ოზურგეთი, გურიის რეგიონი, საქართველო

4. მინიმალური მოთხოვნები:

განმცხადებელმა უნდა უზრუნველყოს შემდეგი:

4.1. ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების და გასართობი მოწყობილობების შესაბამისობის უზრუნველყოფა (ტექნიკური სპეციფიკაციის მიხედვით)

4.2. „ღია სივრცის“ ადგილზე საქონლის მიწოდების მთლიან ღირებულება;

4.3. განვადებით მომსახურება ღია სივრცის ლოკაციაზე მთლიანი ღირებულების ჩათვლით;

4.4. ტექნიკური მომსახურება მინიმუმ 12 თვის განმავლობაში მთლიანი ღირებულების ჩათვლით;

4.5. უზრუნველყოს ყველა ინფორმაციული ტექნოლოგიის, აუდიო მოწყობილობების და დიდი ზომის საყოფაცხოვრებო ტექნიკის საგარანტიო პერიოდი მინიმუმ 12 თვით.

4.6. უზრუნველყოს რეგიონალური ტექნიკური მომსახურების ცენტრების არსებობა (ოზურგეთში ან გურიის სხვა მუნიციპალიტეტებში).

5. განმცხადებელის შერჩევის კრიტერიუმები (მაქსიმალური ქულა 100) შესარჩევ სიაში მოხვედრილი კანდიდატებისთვის

5.1. ხარისხთან დაკავშირებული მოთხოვნები შეფასდება ქვემოთ მოცემული ცხრილის მიხედვით:

კრიტერიუმები	მაქსიმალური ქულა
1. ტექნიკის/მოწყობილობის ხარისხი	35

• ტექნიკურ მახასიათებლებში მითითებული საგნების რაოდენობა (აპლიკაციის ფორმა: მე-10 პუნქტი) (მაქსიმალური 14 ქულა) • საერთაშორისოდ აღიარებული ბრენდები საგარანტიო ვადით (მაქსიმალური 10 ქულა) • უფასო დამონტაჟების მომსახურება (მაქსიმალური 3 ქულა) • ინფორმაციული და აუდიო (IT&Audio) ტექნიკისა და დიდი ზომის საყოფაცხოვრებო ტექნიკის საგარანტიო ვადა - მინიმუმ 12 თვე • დამატებითი გარანტია დარჩენილი ნივთებისთვის (მაქსიმალური 5 ქულა).	
2. საგარანტიო პერიოდი მოწყობილობებისთვის 12 თვეზე მეტი ვადით (მაქსიმალური 10 ქულა)	10
3. რეგიონალური ტექნიკური მომსახურების ცენტრების ხელმისაწვდომობა (მაქსიმალური 15 ქულა)	15
4. პერსონალურად სოლიდარობის ფონდისთვის მენეჯერის გამოყოფა (მაქსიმალური 10 ქულა)	10
ჯამი	70

5.2 ფინანსური შეფასებასთან დაკავშირებული მოთხოვნები (ღირებულება)

ფინანსური შეფასება განხორციელდება ფინანსური შეფასების მთლიანი ღირებულების (შემოთავაზების ფასი) საფუძველზე, რომელიც გამოითვლება განაცხადის ფორმაში მოცემული ხარჯების მოდელირების სცენარის მიხედვით

შეფასება კრიტერიუმით „ღირებულება“ ეფუძნება შემდეგ ფორმულას თითოეული კატეგორიისთვის:

$$P = P_{\min} / P_{\text{of}} \times 30 \text{ ქულა}$$

სადაც:

$P_{\min}$ - ყველაზე დაბალი შემოთავაზებულ ფასია

P_{of} - განსახილველ შემოთავაზებაში წარმოდგენილი ფასია

P - განხილულ შეთავაზებაზე მინიჭებული ქულების რაოდენობა ფასის კრიტერიუმით, დამრგვალებულია სრულ რაოდენობამდე.

5.3 ხელშეკრულების დადება

ხელშეკრულების გაფორმების შემთხვევაში უპირატესობა მიენიჭება ეკონომიური თვალსაზრისით ყველაზე მომგებიან ტენდერს, რომელიც განისაზღვრება ტექნიკური ხარისხისა და ფასის შედარების 30/70 საფუძველზე.

საბოლოო ქულა გამოითვლება შემდეგი ფორმულით:

$$\text{საბოლოო შეფასება} = \text{ტექნიკური შეფასება} \times 70\% + \text{ფინანსური შეფასება} \times 30\%$$

ყველაზე მაღალი საერთო ქულის მქონე ტენდერი ჩაითვლება ეკონომიკურად ყველაზე ხელსაყრელად.

*შედარება წონასწოული ფასისა და გამოცდილებისა არის 30/70.

6. ინფორმაცია ღირებულების შესახებ

6.1. თანხა დაკონკრეტებული უნდა იყოს ლარში და უნდა დამრგვალდეს ორი ათწილადის

ფარგლებში. თანხა მითითებული უნდა იყოს განაცხადის ფორმაში მითითებული მოდელირებული ვარიანტის საფუძველზე.

6.2. ფასი შეიძლება იყოს შემოთავაზებული დაუბეგრავი ღირებულებით (ფიზიკური პირებისთვის) რაც მკაფიოდ უნდა იყოს მითითებული, ან დაბეგრილი სახით, რომელიც უნდა მოიცავდეს დამკვეთი ორგანიზაციის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს (გადასახადების, სავალდებულო სოციალური უსაფრთხოების, ჯანმრთელობასთან დაკავშირებული და საპენსიო შენატანების ჩათვლით) მათ შორის აგრეთვე საქართველოში განთავსების ხარჯებს, საკვების, დაზღვევის, ადგილობრივი მგზავრობის, (გარდა იმ მგზავრობისა, რომელიც ცალკეულადაა შეკვეთილი დამკვეთი ორგანიზაციის მიერ) კომპიუტერული აღჭურვილობის, ფიჭური საკომუნიკაციო საშუალების და პროგრამული უზრუნველყოფის (ვორდის პროცესორი, სფრედშითი/ფაუერფონთი) ჩათვლით.

6.3 დამკვეთ ორგანიზაციასა და შემსრულებელს შორის ანგარიშსწორება განხორციელდება ლარში, კონტრაქტორის საგადასახადო საცხოვრებელი ადგილისა და საქართველოს ეროვნული ბანკის ევროს მიმდინარე კურსის მიხედვით.

7. განაცხადი უნდა შეიცავდეს **ფისკალურ განაცხადს და **აპლიკაციის ფორმას** (მიბმული ფაილების სახით), ხელმოწერილს და დასკანირებულს PDF ფორმატში.**

8. განაცხადის ჩაბარება

განაცხადი უნდა გაგზავნილ იქნას 2022 წლის 9 სექტემბამდე თბილისის დროით 23:59 საათამდე, შემდეგ მისამართზე: georgiarep@solidarityfund.pl

9. პროცედურის შედეგის შესახებ ინფორმაცია გაიგზავნება განმცხადებლის მიერ მითითებულ ელ.ფოსტაზე და გამოქვეყნდება სოლიდარობის ფონდის PL_GEO Facebook-ზე <https://www.facebook.com/solidarityfund.ge>

10. გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ განაცხადის შეტანით თქვენ თანახმა ხართ გაუზიაროთ განაცხადის შინაარსი სხვა განმცხადებლებს, (გარდა პერსონალური მონაცემებისა, რომლებიც ანონიმური იქნება) რომლებსაც შეუძლიათ შესაბამისი მოთხოვნის გაგზავნა სოლიდარობის ფონდში PL-ში.

11. სოლიდარობის ფონდი PL უზრუნველყოფს თანაბარ შესაძლებლობებს, სამართლიან და კანონიერ მოპყრობას დასაქმებაში ყველა ადამიანს რასის, ფერის, რელიგიის, სქესის, ეროვნული წარმომავლობის, ასაკის, შეზუდული შესაძლებლობის, პოლიტიკური კუთვნილების, ოჯახური მდგომარეობის, დაცული გენეტიკური ინფორმაციის ან სექსუალური ორიენტაციის გარეშე.

12. გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ წარდგენილ განაცხადებში მოცემული პერსონალური მონაცემების ადმინისტრატორია სოლიდარობის ფონდი PL, რომლის სათაო ოფისი მდებარეობს ვარშავაში, ქუჩა Mysłowicka 4, 01-612 ვარშავა. მონაცემები დამუშავდება მე-6 მუხლის 1 გ პუნქტის საფუძველზე პერსონალური მონაცემების დაცვის პოლონეთის კანონის შესახებ სახელმწიფო შესყიდვების პროცედურასთან დაკავშირებული მიზნებისათვის. თქვენ გაქვთ მოწოდებულ პერსონალურ მონაცემებზე წვდომის უფლება, პერსონალური მონაცემების გასწორების უფლება და უფლება მოთხოვით ადმინისტრატორს პერსონალური მონაცემების დამუშავების შეზღუდვა, რომელიც ექვემდებარება კანონის 18 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებს. თქვენ გაქვთ უფლება, საჩივრით მიმართოთ პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფისის პრეზიდენტს. გაცნობებთ, რომ სოლიდარობის ფონდმა PL დანიშნა პერსონალური მონაცემთა დაცვის ინსპექტორი, რომელსაც შეგიძლიათ დაუკავშირდეთ შემდეგ მისამართზე: iod@solidarityfund.pl